საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-647

10/05/2021

ქ. თბილისი

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „TOPGEO“-ს მდინარე გუბაზეულზე 3,08 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხევი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის N2-111 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის N2-111 ბრძანებით გაიცა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „TOPGEO“-ს მდინარე გუბაზეულზე 3,08 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხევი ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა N8 (25.01.2019).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „TOPGEO“-ს მდინარე გუბაზეულზე 3,08 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხევი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 თებერვლის N2-111 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „TOPGEO“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „TOPGEO“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი